დოკ. №: 2302-261

თარიღი: 09.02.2023

DEMASO WOOD 1

დიდტანიან მცენარეთა გადარგვის პროექტი

გადაირგვება ერთი (იმავე) მიწის ნაკვეთის ფარგლებში

ტერიტორიის მისამართი	*ს/კ*	*მესაკუთრე*	*ფართობი*
თბილისი, გამზირი გურამიშვილი, N76, (ნაკვეთი N26/36); ქუჩა შეშელიძე, ხიდის მიმდებარედ (ნაკვეთი 26/069)	*01.11.04.026.156*	*შპს "ლიგა 2014"*	*7191 მ²*

გადასარგავ დიდტანიან (d > 25 სმ) მცენარეთა რაოდენობა: ***1***

დოკუმენტის შემადგენლობა

შესავალი	*1*
გადასარგავი მცენარეები	*1*
გადარგვის ინდივიდუალური პირობები	*2*
გადარგვის ზოგადი პირობები	*3*
ნიადაგის მომზადება გადასარგავად	*3*
ხე-მცენარის ამოღება	*3*
ხე–მცენარის გადარგვა	*3*
გადარგვის შემდგომი მოვლა-პატრონობა	*4*

შემსრულებელი:

შპს დემასო ვუდ 1 (400331716)

დირექტორი: ***ემზარ შარია***

demasowood@gmail.com

(+995) 593 18 18 70



შესავალი

წინამდებარე დოკუმენტში მოცემულია ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზირის N76 მისამართზე რეგისტრირებულ, ს/კ 01.11.04.026.156 მიწის ნაკვეთზე მშენებლობის პროექტის ფარგლებში 1 ძირი დიდტანიანი (25 სმ-ზე მეტი დიამეტრის მქონე) ხე-მცენარის გადარგვისა და შემდგომი მოვლა-პატრონობის სამუშაოების ჩატარების მეთოდური მითითებები და დასაცავი პირობები.

აღნიშნული 1 დიდტანიანი ხის გადარგვის შესაძლებლობა დადასტურებულია „დემასო ვუდის“ (ექსპერტი – ლევან გოშაძე) 01.07.2021 №№ 2107-022 საექსპერტო დასკვნით.

წინამდებარე გადარგვის პროექტის მოთხოვნათა ზედმიწევნით დაცვა უზრუნველყოფს გადარგული მცენარის გახარებას.

მცენარე გადაირგვება იმავე მიწის ნაკვეთის საზღვრებში, სადაც ის ამჟამად მდებარეობს (ს/კ 01.11.04.026.156).

გადარგვის სამუშაოები ჩატარდება წლის არასავეგეტაციო პერიოდში.

გადასარგავი მცენარეები

ს/კ 01.11.04.026.156 მიწის ნაკვეთის ფარგლებში, მშენებლობის პროექტით იგეგმება, 25 სმ-ზე მეტი დიამეტრის მქონე 1 ხე-მცენარის - ამერიკული ნეკერჩხალის (Acer negundo) გადარგვა. მისი ზოგადი მახასიათებლები გადასარგავი კომის ზომების ჩათვლით მოცემულია ცხრილ 1-ში.

აღნიშნულ ხეს „დემასო ვუდის“ (ექსპერტი – ლევან გოშაძე) 01.07.2021 №2107-022, საექსპერტო დასკვნაში მინიჭებული აქვს შემდეგი ნომერი: 1 ამერიკული ნეკერჩხალი - N78.

ცხრილი 1. გადასარგავი ხეების ნუსხა, მათი ტაქსაციური მაჩვენებლები და კომის ზომები.

რიგ. №	ხის №	სახეობა	კომის სიგანე (სმ)	ღეროს ⌀ (სმ) მიწიდან:		სიმაღლე (მ)
				10 სმ	1.3 მ	
1	78	ნეკერჩხალი ამერ. (Acer negundo)	224	32	23.9	6.5

გადარგვის ინდივიდუალური პირობები

ამერიკული ნეკერჩხალი (Acer negundo) №78

ღეროს დიამეტრი მიწიდან 10-სმ-ზე: 32 სმ

ღეროს დიამეტრი მიწიდან 1.3 მ-ზე: 23.9 სმ

სიმაღლე: 6.5 მ

ხნოვანება: ახალგაზრდა

კომის დიამეტრი: 224 სმ

არსებული მდებარეობა. მცენარე განთავსებულია სწორ და რბილ ნიადაგზე. მასთან ტექნიკით მიახლოება ადვილად შესაძლებელია. გამომდინარე აქედან, მცენარის ამოღება არ წარმოადგენს მისთვის სასიცოცხლო რისკს.

დარგვის ადგილი. არასწორი რელიეფი. საჭიროებს დასარგავად მომზადებას გადარგვის ზოგადი პირობების მიხედვით.

გადარგვის ინდივიდუალური პირობები. მცენარე საჭიროებს გადარგვის წინ სხვლა-ფორმირებას მისი ვარჯის ფორმიდან გამომდინარე.



გადარგვის ზოგადი პირობები

ნიადაგის მომზადება გადასარგავად

ნიადაგის მომზადება ხელს უწყობს მისი ფიზიკური და წყლის რეჟიმის გაუმჯობესებას. ამ ეტაპზე ასევე უნდა მოხდეს დასარგავი ადგილის განთავისუფლება სარეველა მცენარეებისგან, ქვებისგან, სამშენებლო ნარჩენებისგან და სხვ. ნიადაგის მომზადება უნდა განხორციელდეს მექანიზებული წესით (სასურველია უახლესი ტექნიკის გამოყენებით) - მოხვნა, გადახვნა, გადაფარცხვა, დაპლანტაჟება. პირველ რიგში უნდა გაიწმინდოს ნაგვისგან, ქვებისგან, ამოიძირკოს ძირკვები და შემდეგ, დარგული მწვანე ნარგავების კარგი ზრდა-განვითარების უზრუნველსაყოფად, მოხდეს ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლება ორგანული/არაორგანული სასუქის შეტანის გზით.

ხე-მცენარის ამოღება

1. გადასარგავი ხის კომის ზომა უნდა განისაზღვროს: დიამეტრი - ფესვის ყელთან არსებული ღეროს დიამეტრის არანაკლებ შვიდმაგი ოდენობით (ცხრილი 1), სიღრმე - კომის დიამეტრის ნახევრიდან 1.7 მ-მდე.
2. კომის გამოყოფა ნიადაგიდან და მისი ამოღება საჭიროა განხორციელდეს სპეც-ტექნიკის საშუალებით, განსაკუთრებული სიფრთხილით, ისე, რომ კომი დაცული იყოს მკვეთრი და ძლიერი დარტყმებისგან და არ დაზიანდეს ფესვთა სისტემა.
3. ამოღებისას კომი დაუყოვნებლივ უნდა შეიფუთოს სპეციალური ბადით ან ჯვალოს მატერიით და მისი ფიქსირება მოხდეს ისე, რომ გადატანის დროს უზრუნველყოფილი იყოს მისი მთლიანობის შენარჩუნება.
4. ტრანსპორტირების შემთხვევაში, შეფუთულ კომს გაუკეთდეს დამცავი კონსტრუქცია (ხის ჩარჩო, მავთულბადე, ჭილოფი, ასაწყობი ყუთები, მეტალის სხვადასხვა კოსტრუქცია ან/და სხვ.).
5. მიწის კომის შეფუთვის შემდგომ ხის ღეროზე გაკეთდეს სპეციალური შალითა, რომელიც შეიძლება დამზადებული იყოს ქეჩის, ტყავის ან ბრეზენტისგან. შალითის დანიშნულებაა დატვირთვის, გადაზიდვის და დარგვის დროს ხის შტამბი დაცული იყოს შესაძლო შემთხვევითი დაზიანებისგან.
6. საჭიროების შემთხვევაში, ხე-მცენარეებზე ხორცილედება სხვლა-ფორმირება, რათა გადაადგილებისას თავიდან ავიცილოთ მცენარის ისეთი არასასურველი რყევები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს კომის შიგნით ფესვების დაგლეჯა და ნიადაგის მოშორება.

ხე–მცენარის გადარგვა

1. გადარგვის დანიშნულების წერტილი უნდა იყოს შენობის გარე კედლიდან ან/და მშენებარე ობიექტის საძირკველიდან მინიმუმ 3 მ-ის დაშორებით.
2. გადასარგავ ადგილზე აუცილებელია წინასწარ მომზადდეს გადასარგავი ორმო:
   - რომელსაც გადასარგავი კომის ზომებთან შედარებით სასურველია ჰქონდეს 0.5-0.9 მ-ით მეტი დიამეტრი და 0.2-0.25 მ-ით მეტი სიღრმე;
   - ორმოს უნდა ჩაუტარდეს დეზინფექცია ნიადაგის მავნებლების და პათოგენური სოკოების საწინააღმდეგოდ თანამედროვე პესტიციდებითა და ფუნგიციდებით, რათა თავიდან აცილებული იქნას ისეთი დაზიანებები და დაავადებები, რომლებსაც მცენარე იღებს ნიადაგიდან;
   - ორმოს ფსკერი უნდა გაფხვიერდეს 10-15 სმ სიღრმეზე, შემდგომ კი მოხდეს 0.2-0.25 მ სისქის ნაყოფიერი ნიადაგის შეტანა;

- თითოეულ ორმოში უნდა ჩაიყაროს 15-20 კგ ორგანული სასუქი (გადამწვარი ნაკელი, ტორფნაკელი და ტორფ-დოლომიტი).

3. ხის მოთავსება ორმოში უნდა განხორციელდეს ხის პირვანდელი სივრცითი ორიენტაციის გათვალისწინებით.
4. ხე-მცენარე სარგავ ორმოში უნდა მოთავსდეს ამწის გამოყენებით ისე, რომ მისი კომი 5-10 სმ-ით ამოწეული იყოს ნიადაგის ზედაპირიდან, ხოლო ფესვის ყელი ან ნამყენი ადგილი მიწის ზედაპირიდან არანაკლებ 7-10 სმ-ით ზემოთ დარჩეს.
5. ორმოში განთავსების შემდეგ, ხე უნდა აიკრას საყრდენზე ან გამაგრდეს თოკებით სამი მხრიდან.
6. ჩარგვის დროს არ უნდა დაზიანდეს მცენარის ფესვთა სისტემა, ღერო და ვარჯი;
7. კომსა და ორმოს კედლებს შორის სივრცე უნდა შეივსოს ნაყოფიერი ნიადაგის ნაზავით.
8. ხე-მცენარის ირგვლივ უნდა გაკეთდეს სარწყავი ჯამი;
9. ხე-მცენარის დარგვის შემდგომ უნდა მოხდეს მორწყვა ნიადაგის სრულ გაჯირჯვებამდე.

გადარგვის შემდგომი მოვლა-პატრონობა

1. ხე-მცენარის დარგვისთანავე მასზე უნდა განხორციელდეს მცენარეთა მავნებელ-დაავადებების წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებები.
2. ხე-მცენარის მოვლა განხორციელდეს დარგვიდან (გადარგვიდან) 3 წლის განმავლობაში.
3. მაისიდან სექტემბრის ჩათვლით თვეში ერთხელ განხორციელდეს სარწყავი ჯამების გამარგვლა, გაფხვიერება და განახლება.
4. მორწყვა განხორციელდეს მაისიდან სექტემბრის ჩათვლით კვირაში ერთხელ.
5. დამატებითი მორწყვა განხორციელდეს წლის გვალვიან პერიოდში, საჭიროების მიხედვით.
6. განსაკუთრებით ინტენსიური მორწყვა საჭიროა ყლორტებისა და ფოთლების ზრდის დროს. შესაბამისად ინტენსიური მორწყვა დაიწყოს მაისის თვიდან.
7. შესაძლებელია სპეციალური სარწყავი (ავტომატური) სისტემის მოწყობა მცენარის მუდმივი მორწყვის უზრუნველსაყოფად.
8. გადარგვიდან მეორე და მესამე წელს ვეგეტაციის დაწყებამდე ადრე გაზაფხულზე უნდა განხორციელდეს სერტიფიცირებული მინერალური სასუქების (NPK) შეტანა და მორწყვა.
9. გახმობის შემთხვევაში მცენარის ჩანაცვლება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

ექსპერტი: _____ ლევან გოშაძე (პ/ნ 01008013049)

შპს დემასო ვუდ 1

ს/კ 400331716

№ 2302-271 09.02.2023

შპს “ლიგა 2014”

გაცნობებთ, რომ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული შესაბამისი ნებართვის წარმოდგენის შემდგომ, შპს „დემასო ვუდ 1“ მზადაა თქვენს საკუთრებაში არსებულ ს/კ 01.11.04.026.156 მიწის ნაკვეთზე (მის: ქ. თბილისი, გამზირი გურამიშვილი, N76, (ნაკვეთი N26/36); ქუჩა შეშელიძე, ხიდის მიმდებარედ (ნაკვეთი 26/069) განახორციელოს 1 დიდტანიანი ხე-მცენარის (დიამეტრი – 32 სმ) გადარგვა თანდართული გადარგვის პროექტის (დოკუმენტი № 2302-261) შესაბამისად.

აღნიშნული მცენარის გადარგვის შემთხვევაში, თუ მასზე მექანიკურ ან ხელოვნურ ფიზიკურ-ქიმიურ ზემოქმედებას არ ექნება ადგილი და თუ მისი მოვლა-პატრონობა მოხდება ზემოთ აღნიშნული გადარგვის პროექტის მოთხოვნათა შესაბამისად, მისი გახარების ალბათობა მოსალოდნელია რომ იყოს ფაქტიურად ისეთივე, როგორიც იქნებოდა მისი პირვანდელ ადგილზე შენარჩუნების შემთხვევაში.

აღნიშნული მცენარის გადასარგავად გამოყენებული იქნება შემდეგი ტიპის აუცილებელი ტექნიკა: ტრაქტორი JCB 3CX, ბობკატი JCB 1CX. ასევე, არბორისტთა ჯგუფი 5 კაცის შემადგენლობით სამუშაოებისთვის საჭირო ხელსაწყოებით.

დანართი:
1. სპეც-ტექნიკის ფოტოები
2. დიდტანიან მცენარეთა გადარგვის პროექტი (№2302-261)

პატივისცემით,

ემზარ შარია

დირექტორი

ლევან გოშაძე

ექსპერტი

თბილისი, ც. დადიანის გამზ. № 34, ბინა 2 • App. 2, 34 Ts. Dadiani Avenue, Tbilisi, Georgia

✆ (+995) 593 18 18 70 • ✉ demasowood@gmail.com

№ 2302-271 წერილის დანართი

გადარგვისას გამოსაყენებელი სპეც-ტექნიკა



JCB 1CX



JCB 3CX

გამწვანების პროექტი

დოკ. № 2105-361 • თარიღი: 24.05.2021



მისამართი: ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირის N76-ისა და შეშელიძის ქუჩაზე ხიდის მიმდებარედ

საპროექტო ტერიტორიის ფართობი: 7 312 მ^2

კ-3 საანგარიშო ფართობი: 2590.6 მ^2 (კ-3 = 0.4)

ტერიტორიაზე არსებული მერქნიანი მცენარეების რაოდენობა: 84

მოსაჭრელი მერქნიანი მცენარეების რაოდენობა: 38

დასარგავი ნერგების რაოდენობა: 69

გამწვანების პროექტის დასრულების თარიღი: 2024 წ.

მცენარეების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი: შპს "ლიგა 2014"

მოვლა-პატრონობის ხანრგძლივობა: 3 წელი

საკადასტრო კოდი	მესაკუთრე	მიწის ნაკვეთის ფართობი (მ^2)
01.11.04.026.141	შპს "ლიგა 2014"	6460.00
01.11.04.026.069	შპს "ლიგა 2014"	358.00
01.11.04.026.137	შპს "ლიგა 2014"	373.00
01.11.04.026.136	სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი	121.00

დამკვეთი: შპს "ლიგა 2014"

შემსრულებელი: შპს "დემასო ვუდ"

ლევან გოშაძე _____ ექსპერტი,

ემზარ შარია _____ დირექტორი,

ნინო გოგოსაშვილი _____ არქიტექტორი

შპს "დემასო ვუდ" * ООО "ДЕМАСО ВУД" * DEMASO WOOD LTD 405086419



ს/კ 01.11.04.026.141 მიწის ნაკვეთზე არსებული მცენარეები

უცვლელად დატოვებული მცენარეები

№	მცენარის დასახელება
1, 13, 18, 30, 32, 33, 34, 35, 40, 41, 43, 46, 57, 60, 65, 68	თუთა (Morus alba)
62	ალვის ხე (Populus pyramidalis)
9	ჭერამი (Prunus armeniaca)
10	კაკალი (Juglans regia)
11, 15	თეთრი აკაცია (Robinia pseudoacacia)
42, 64, 67	ამერ. ნეკერჩხალი (Acer negundo)

მოსაჭრელი მცენარეები

№	მცენარის დასახელება
3, 5, 31, 36, 39, 47, 50	თუთა (Morus alba)
4, 23, 24, 25, 44	ტყემალი (Prúnus cerasiféra)
6, 37, 38, 45, 49, 52, 58, 59, 61, 63, 70	ალვის ხე (Populus pyramidalis)
12, 16, 19	თეთრი აკაცია (Robinia pseudoacacia)
26	ჭერამი (Prunus armeniaca)
28	მუშმულა (Eriobotrya japonica)
29	ხურმა (Diospyros kaki)
56	ატამი (Prúnus pérsica)
69	ბოყვი (Acer pseudoplatanus)

გადასარგავი მცენარეები

№	მცენარის დასახელება
14	თეთრი აკაცია (Robinia pseudoacacia)
2, 8, 17, 48, 51, 53	თუთა (Morus alba)
20, 21, 22, 66	ამერ. ნეკერჩხალი (Acer negundo)
27	კაკალი (Juglans regia)
54, 55	თხილი (Corylus avellana)
7	ალვის ხე (Populus pyramidalis)

დამკვეთი: შპს "ლიგა 2014"

შემსრულებელი: შპს "დემასო ვუდ"



ს/კ 01.11.04.026.137 მიწის ნაკვეთზე არსებული მცენარეები

უცვლელად დატოვებული მცენარეები

№	მცენარის დასახელება
1	თუთა (Morus alba)

მოსაჭრელი მცენარეები

№	მცენარის დასახელება
2	ტყემალი (Prúnus cerasifera)
3, 8, 9, 10, 11	ალვის ხე (Populus pyramidalis)
7	ლეღვი (Ficus carica)

გადასარგავი მცენარეები

№	მცენარის დასახელება
6	თუთა (Morus alba)

ს/კ 01.11.04.026.136 მიწის ნაკვეთზე არსებული მცენარეები

უცვლელად დატოვებული მცენარეები

№	მცენარის დასახელება
5	თუთა (Morus alba)

გადასარგავი მცენარეები

№	მცენარის დასახელება
1, 3, 4	თუთა (Morus sp.)
2	გლედიჩია ((Gleditsia triacanthos)

დამკვეთი: შპს "ლიგა 2014"

შემსრულებელი: შპს "დემასო ვუდ"

გადარგული მცენარეები

	№	დასახელება	თავდაპირველი მდებარეობა ს/კ
	1, 3, 4	თუთა (Morus alba)	01.11.04.026.136
	2	გლედიჩია (Gleditsia triacanthos)	
	6	თუთა (Morus alba)	01.11.04.026.137
	2, 8, 17, 48, 51, 53	თუთა (Morus alba)	01.11.04.026.141
	20, 21, 22, 66	ამერ. ნეკერჩხალი (Acer negundo)	
	14	თეთრი აკაცია (Robinia pseudoacacia)	
	27	კაკალი (Juglans regia)	
	54, 55	თხილი (Corylus avellana)	
	7	ალვის ხე (Populus pyramidalis)	



დასარგავი მცენარეები

მცენარის დასახელება პირობითი აღნიშვნა და რაოდენობა	ღეროს მინ. გარშემოწერილობა (სმ)	მინიმალური ასაკი (წ.)	მინიმალური სიმაღლე (მ)	მახასიათებლები	დასურათება
13 ძირი მსხვილფოთოლა ნეკერჩხალი ანუ ლეკა/ (Acer platanoides)	20-22	5	3.5	გვალვაგამძლე საშუალოდ მზარდი	
23 ძირი იტალიური ფიჭვი (Pinus pinea)	20-22	5	3	გვალვაგამძლე სწრაფმზარდი	
7 ძირი ირმის რქა (Lagerstroemia indica)	20-22	5	2.5	გვალვაგამძლე საშუალოდ მზარდი	
11 ძირი წითელი ტყემალი(Prunus cerasifera Pisardii)	20-22	5	3	გვალვაგამძლე სწრაფმზარდი	
15 ძირი კვიდო ხის ფორმის (Ligustrum)	20-22	5	3.5	გვალვაგამძლე სწრაფმზარდი	
გაზონი					

დამკვეთი: შპს "ლიგა2014"

შემსრულებელი: შპს "დემასო ვუდ"

აქსონომეტრიული ხედი



წითელი ტყემალი
(Prunus cerasifera Pisardii)

იტალიური ფიჭვი
(Pinus pinea)

თუთა
(Morus alba)

ამერ. ნეკერჩხალი
(Acer negundo)

თხილი
(Corylus avellana)

ალვის ხე
(Populus pyramidalis)

იტალიური ფიჭვი
(Pinus pinea)

გლედიჩია
(Gleditsia triacanthos)

თუთა
(Morus alba)

თუთა
(Morus alba)

დამკვეთი: შპს "ლიგა 2014"

შემსრულებელი: შპს "დემასო ვუდ"

აქსონომეტრიული ხედი



დამკვეთი: შპს "ლიგა 2014"

შემსრულებელი: შპს "დემასო ვუდ"

აქსონომეტრიული ხედი



დამკვეთი: შპს "ლიგა 2014"

შემსრულებელი: შპს "დემასო ვუდ"

გამწვანების პროექტის საინფორმაციო დაფა

გამწვანების ფართობი: 2590.6 მ^2 (კ-3 = 0.4)

დასარგავი მცენარეები

დასახელება/რაოდენობა	მინიმალური ასაკი (წ.)	მინიმალური სიმაღლე (მ)
13 ძირი მსხვილფოთოლა ნეკერჩხალი ანუ ლეკა (Acer platanoides)	5	3.5
23 ძირი იტალიური ფიჭვი (Pinus pinea)	5	3
7 ძირი ირმის რქა (Lagerstroemia indica)	5	2.5
11 ძირი წითელი ტყემალი (Prunus cerasifera Pisardii)	5	3
15 ძირი კვიდო ხის ფორმის (Ligustrum)	5	3.5

გადარგული მცენარეები

- 10 ძირი თუთა (Morus alba)
- 1 ძირი გლედიჩია (Gleditsia triacanthos)
- 4 ძირი ამერ. ნეკერჩხალი (Acer negundo)
- 1 ძირი თეთრი აკაცია (Robinia pseudoacacia)
- 1 ძირი კაკალი (Juglans regia)
- 2 ძირი თხილი (Corylus avellana)
- 1 ძირი ალვის ხე (Populus pyramidalis)

გამწვანების პროექტის შეთანხმების თარიღი - 2021 წ.
გამწვანების პროექტის დასრულების თარიღი - 2024 წ.

ნარგავების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი: შპს "ლიგა 2014"

ნარგავების მოვლის ხანგძლივობა: დარგვიდან 3 წელი







წერილის ნომერი: **18-01210911922**
თარიღი: **01/04/2021**
პინი: **4431**

ადრესატი: ლაშა შაყულაშვილი
პირადი ნომერი: 01008054257
მისამართი: ქ.თბილისი, ბაგები, უჩანეიშვილის მეოთხე გასასვლელი სახლი N5

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ზოგადი ინფორმაცია	
განცხადების ნომერი:	N 19/01210884534-18; 19/0121080151-18
განცხადების თარიღი:	29 მარტი, 2021; 21 მარტი, 2021
განმცხადებელი:	ლაშა შაყულაშვილი
მისამართი	ქ. თბილისი, გამზირი გურამიშვილი #76, მიმდებარედ
საკადასტრო კოდ(ებ)ი:	01.11.04.026.136
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტი
ნომენკლატურა/მოთხოვნის შინაარსი:	გზის მოწყობა
მწვანე ნარგავ(ებ)ის სახეობა, რაოდენობა	5
წარმოდგენილი დოკუმენტაცია	მწვანე ნარგავ(ებ)ის მდგომარეობის ამსახველი ფოტომასალა საექსპერტო დასკვნა დიდტანოვანი ნარგავ(ებ)ის გადარგვის ტექნიკური დოკუმენტაცია გადამრგველი ფიზიკური/იურიდიული პირის თანხმობა მწვანე ნარგავების გადარგვის შესახებ სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს გადაწყვეტილება ტოპო.გეგმა
დასკვნა:	
დადებითი	

სამართლებრივი დასაბუთება

სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტი; საქართველოს კანონის ,,ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ მე-6 მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის დადგენილებით №10-11 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს

დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილებით დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის“ 21-ე, 21^1-ე, 21^2-ე მუხლები.

სამსახურის პოზიცია

ვინაიდან მცენარეების გადარგვას ენიჭება უპირატესობა მოჭრასთან მიმართებით და მწვანე ნარგავების შენარჩუნების გზით დაცული იქნება ტერიტორიაზე არსებული ეკოლოგიური წონასწორობა, აგრეთვე, მცენარეების გადარგვის და მათი შემდგომი გახარების შესაძლებლობა ექსპერტის მიერ წერილობით დადასტურებულია, **შესაბამისად, სამსახური თანახმაა,** დაგეგმილი სამუშაოების გახორციელების მიზნით გასცეს საპროექტო არეალში მდგომი ***5 ძირი მწვანე ნარგავის (თუთა #1-22,3სმ; #3-38სმ; #4-37სმ; #5-32სმ; გლედიჩია #2-21,3სმ)*** მიმდებარე ტერიტორიაზე გადარგვის ნებართვა.

ინფორმაციული

მწვანე ნარგავების გადარგვა უნდა განხორციელდეს ნებართვის მიღებიდან პირველსავე არასავეგეტაციო პერიოდში, აგროტექნიკური ღონისძიებების დაცვით და ჩვენი სამსახურის სპეციალისტის ზედამხედველობით.

გაცნობებთ, რომ ნებართვის მიმღები ვალდებულია გადარგვის დაწყების თარიღი და დროის ინტერვალი წერილობით აცნობოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს ზედამხედველობის გაწევის მიზნით (გადარგვის დაწყებამდე - არანაკლებ 2 სამუშაო დღით ადრე). წინააღმდეგ შემთხვევაში მწვანე ნარგავების გადარგვა ჩაითვლება უკანონოდ.

მწვანე ნარგავების გადარგვის ნებართვა გაიცემა 1 წლის ვადით, ხოლო გადარგული მწვანე ნარგავების მოვლის სამუშაოების ხანგრძლივობა განისაზღვრება 3 წლის ვადით.

გადარგვის განხორციელების შემდეგ, სამ თვეში ერთხელ, წერილობით, უნდა წარმოადგინოთ გადარგული მცენარეების მდგომარეობის შესახებ ანგარიში და შესაბამისი ფოტომასალა.

აქვე გაცნობებთ, გადარგვიდან 3 წლის განმავლობაში მწვანე ნარგავების გახმობის შემთხვევაში დაგეკისრებათ განმეორებითი საკომპენსაციო რგვის ვალდებულება.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ტოპოგრაფიული გეგმა

(კორექტირებული)

ქ. თბილისი, შეშელიძის ქ. ხიდის მიმდებარედ

/ქ. თბილისი, გურამიშვილის გამ. №76



პირობითი აღნიშვნები

WGS 84–ის კოორდინატთა სისტემის UTM პროექცია, სიმაღლური ნიშნულები პირობითია

ჩს — საცხოვრებელი შენობა
ჩა — არასაცხოვრებელი შენობა
ფარდული
სათბური — სათბური
ნანგრევი — დანგრეული შენობა
ცისტ. ცისტ. — რეზერვუარი

ბორდიური
ა — ასფალტის გზა
ხრ. — არაასფალტირებული გზა
რკინიგზა
წყლის კონტური
მშრალი ხევი
მთავარი იზოჰიფსი
221 — იზოჰიფსი სიმაღლით

აზომა	ვ. ლომიძე	
დახაზა	ვ. ლომიძე	
დამკვეთი	ა. შუბითიძე	
მ 1:500	03/03/2021	

შპს „IL Group“

ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. №26

ი/მ "გიორგი ტივაძე"

ს/კ 01021002814, tkeproeqti@gmail.com, მობ: 571 900030

მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების საექსპერტო დასკვნა

ქ.თბილისი **29 სექტემბერი 2020 წ.**

მისამართი:

ქალაქი თბილისი, ქუჩა შეშელიძე, ხიდის მიმდებარედ, ნაკვეთი:26/ 069;

სკადასტრო კოდი:

01.11.04.026.069;

ფართობი:

358.00 კვ.მ;

მესაკუთრე:

შპს „ლიგა 2014“, ID ნომერი:401991387

საექსპერტო ობიექტის ზოგადი მდგომარეობის აღწერა-შეფასება/კვლევის მეთოდი:

საკვლევი ობიექტის რელიეფი ფერდია. ხე-მცენარეების აღწერა- შეფასება მოხდა ვიზუალური დათვალიერებით. ზემოთ მითითებულ მიწის ნაკვეთში ხე- ნარგაობები არ არის. საექსპერტო დასკვნას თან ახლავს არსებული სიტუაციური ფოტოსურათები.

ექსპერტი: გიორგი ტივაძე









დოკ. №: 2103-131 ▪ თარიღი: 19.03.2021

საექსპერტო დასკვნა

მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასება

მისამართი: ***ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №76*** ▪ *ს/კ:* ***01.11.04.026.136***
მესაკუთრე: ***სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი***
ფართობი: ***121 მ²*** ▪ *მერქნიან მცენარეთა რაოდენობა:* ***5***

დასკვნა

2021 წლის 23 თებერვალს, ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზირის №76 მიმდებარედ რეგისტრირებულ, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების, ს/კ 01.11.04.026.136 მიწის ნაკვეთზე ჩატარებული მწვანე ნარგავების რაოდენობრივ-ხარისხობრივი აღწერის შედეგად დადგინდა, რომ **ს/კ 01.11.04.026.136 მიწის ნაკვეთზე მდებარე 5 მერქნიანი მცენარიდან, ხუთივე - განეკუთვნება დაბალი ღირებულების ჯგუფის ფოთლოვნებს, არის ჯანსაღი და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი მეთოდიკის გამოყენებით, ნებისმიერი მათგანი შესაძლებელია დაექვემდებაროს გადარგვას.** მცენარეთა მახასიათებლები მოცემულია შემდეგ ცხრილში:

№	მცენარის დასახელება	დიამეტრი (სმ) მიწიდან:		სიმაღლე (მ)	აღწერა
		10 სმ	1.3 მ		
1	თუთა (Morus sp.)	22.3	6.4	4.5	საღი/ მრავალღეროიანი/ გადარგვადი
2	გლედიჩია (Gleditsia triacanthos)	21.3	15.9	6.5	საღი/ სამღეროიანი/ გადარგვადი
3	თუთა (Morus sp.)	38	32	8.5	საღი/ გადარგვადი
4	თუთა (Morus sp.)	37	22.3	8.5	საღი/ გადარგვადი
5	თუთა (Morus sp.)	32	22.3	7.5	საღი/ გადარგვადი

ექსპერტი: ლევან გოშაძე (01008013049)











შემსრულებელი:
შპს დემასო ვუდ (405086419)
დირექტორი: ***ემზარ შარია***

demasowood@gmail.com
(+995) 593 18 18 70

ი/მ "გიორგი ჭივაძე"

ს/კ 01021002814, tkeproeqti@gmail.com, მობ: 571 900030

მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების საექსპერტო დასკვნა

ქ.თბილისი **29 სექტემბერი 2020 წ.**

მისამართი:

ქალაქი თბილისი, გამზირი გურამიშვილი,(ნაკვ. N26/36);

ქალაქი თბილისი, ქუჩა შეშელიძე, ხიდის მიმდებარედ;

სკადასტრო კოდი:

01.11.04.026.141;

ფართობი:

6460.00 კვ.მ;

მესაკუთრე:

შპს „ლიგა 2014“, ID ნომერი:401991387

საექსპერტო ობიექტის ზოგადი მდგომარეობის აღწერა-შეფასება/კვლევის მეთოდი:

საკვლევი ობიექტის რელიეფი ვაკეა. ხე-მცენარეების აღწერა- შეფასება მოხდა ვიზუალური დათვალიერებით. საექსპერტო დასკვნას თან ახლავს არსებული სიტუაციური ფოტოსურათები

ცხრილი№ 1

№	სახეობა	სასიცოცხლო ფორმა	D (ფს.ყ. 10სმ-ზე)	მცენარის ზოგადი მდგომარეობა	შენიშვნა
1	თუთა (Morus alba)	ხე	23	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას

2	თუთა (Morus alba)	ხე	22	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
3	თუთა (Morus alba)	ხე	13	ჯანსაღი	ფესვთა სისტემა შეზრდილია ბეტონის კედელში
4	ტყემალი (Prúnus cerasiféra)	ხე	10	ხმობადი	ხილკენკროვანი გადაბელილი
5	თუთა (Morus alba)	კუნძი	14	ზეხმელი	ძველი მოჭრილი ამოძირკვა
6	ალვის ხე (Populus pyramidalis)	კუნძი	42	ზეხმელი	ძველი მოჭრილი ამოძირკვა
7	ალვის ხე (Populus pyramidalis)	ხე	40	ჯანსაღი	
8	თუთა (Morus alba)	ხე	18	ჯანსაღი	ორკაპი ექვემდებარება გადარგვას
9	ჭერამი (Prunus armeniaca)	ხე	25	ჯანსაღი	ხილკენკროვანი ექვემდებარება მოჭრა-გადარგვას
10	კაკალი (Juglans regia)	ხე	10	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
11	თეთრი აკაცია (Robinia pseudoacacia)	ხე	7	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
12	თეთრი აკაცია (Robinia pseudoacacia)	ხე	19	ხმობადი	წვერხმელი
13	თუთა (Morus alba)	ხე	10	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
14	თეთრი აკაცია (Robinia pseudoacacia)	ხე	10	ჯანსაღი	ჭვერწატეხილი ექვემდებარება გადარგვას
15	თეთრი აკაცია (Robinia pseudoacacia)	ხე	12	ხმობადი	წვერხმელი
16	თეთრი აკაცია (Robinia pseudoacacia)	ხე	11	ხმობადი	წვერხმელი
17	თუთა (Morus alba)	ხე	16	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას

18	თუთა (Morus alba)	ხე	9	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
19	თეთრი აკაცია (Robinia pseudoacacia)	კუნძი	20	ზეხმელი	მოჭრა
20	ნეკერჩხალი (Acer negundo)	ხე	4	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
21	ნეკერჩხალი (Acer negundo)	ხე	4	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
22	ნეკერჩხალი (Acer negundo)	ხე	7	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
23	ტყემალი (Prúnus cerasiféra)	ხე	9	ჯანსაღი	ხილკენკროვანი ექვემდებარება მოჭრა-გადარგვას
24	ტყემალი (Prúnus cerasiféra)	ხე	6	ჯანსაღი	ხილკენკროვანი ექვემდებარება მოჭრა-გადარგვას
25	ტყემალი (Prúnus cerasiféra)	ხე	7	ჯანსაღი	ხილკენკროვანი ორკაპი ექვემდებარება მოჭრა-გადარგვას
26	ჭერამი (Prunus armeniaca)	ხე	7	ჯანსაღი	ხილკენკროვანი გადაბელილი ექვემდებარება მოჭრა-გადარგვას
27	კაკალი (Juglans regia)	ხე	17	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
28	მუშმულა (Eriobotrya japonica)	ხე	13	ჯანსაღი	ხილკენკროვანი ექვემდებარება მოჭრა-გადარგვას
29	ხურმა (Diospyros kaki)	ხე	14	ჯანსაღი	ხილკენკროვანი ექვემდებარება მოჭრა-გადარგვას
30	თუთა (Morus alba)	ხე	32	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
31	თუთა (Morus alba)	კუნძი	50	ზეხმელი	ძველი მოჭრილი
32	თუთა (Morus alba)	ხე	14	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
33	თუთა (Morus alba)	ხე	22	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
34	თუთა (Morus alba)	ხე	20	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას

35	თუთა (Morus alba)	ხე	10	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
36	თუთა (Morus alba)	ხე	19	ხმობადი	
37	ალვის ხე (Populus pyramidalis)	ხე	47	ხმობადი	წვერხმელი
38	ალვის ხე (Populus pyramidalis)	ხე	56	ხმობადი	წვერხმელი
39	თუთა (Morus alba)	ხე	16	ზეხმელი	ორკაპი მოჭრა
40	თუთა (Morus alba)	ხე	30	ჯანსაღი	სამღეროიანი ექვემდებარება გადარგვას
41	თუთა (Morus alba)	ხე	16	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
42	ნეკერჩხალი (Acer negundo)	ხე	34	ჯანსაღი	სამღეროიანი ექვემდებარება გადარგვას
43	თუთა (Morus alba)	ხე	28	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
44	ტყემალი (Prúnus cerasiféra)	ხე	6	ჯანსაღი	ხილკენკროვანი ექვემდებარება მოჭრა-გადარგვას
45	ალვის ხე (Populus pyramidalis)	ხე	50	ხმობადი	გადაბერებული
46	თუთა (Morus alba)	ხე	16	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
47	თუთა (Morus alba)	კუნძი	32	ზეხმელი	ძველი მოჭრილი
48	თუთა (Morus alba)	ხე	17	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
49	ალვის ხე (Populus pyramidalis)	კუნძი	31	ზეხმელი	ძველი მოჭრილი
50	თუთა (Morus alba)	კუნძი	12	ზეხმელი	ძველი მოჭრილი
51	თუთა (Morus alba)	ხე	21	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
52	ალვის ხე (Populus pyramidalis)	ხე	54	ხმობადი	წვერხმელი
53	თუთა (Morus alba)	ხე	12	ჯანსაღი	ორკაპი ექვემდებარება გადარგვას

54	თხილი (Corylus avellana)	ბუჩქი	1.0-3.0	ჯანსაღი	მრავალღეროიანი ექვემდებარება გადარგვას
55	თხილი (Corylus avellana)	ბუჩქი	1.0-3.5	ჯანსაღი	მრავალღეროიანი ექვემდებარება გადარგვას
56	ატამი (Prúnus pérsica)	ხე	4	ჯანსაღი	ხილკენკროვანი ექვემდებარება მოჭრა-გადარგვას
57	თუთა (Morus alba)	ხე	20	ჯანსაღი	ორკაპი ექვემდებარება გადარგვას
58	ალვის ხე (Populus pyramidalis)	ხე	67	ხმობადი	გადაბერებული ფაუიტი
59	ალვის ხე (Populus pyramidalis)	ხე	94	ხმობადი	
60	თუთა (Morus alba)	ხე	30	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
61	ალვის ხე (Populus pyramidalis)	ხე	111	ხმობადი	გადაბერებული წვერმოტეხილი
62	ალვის ხე (Populus pyramidalis)	ხე	76	ჯანსაღი	
63	ალვის ხე (Populus pyramidalis)	კუნძი	42	ზეხმელი	გადაბელილი ფს.ყ-დან 1.9 მ-ზე
64	ნეკერჩხალი (Acer negundo)	ხე	15	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
65	თუთა (Morus alba)	ხე	18	ჯანსაღი	ორკაპი ექვემდებარება გადარგვას
66	ნეკერჩხალი (Acer negundo)	ხე	28	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
67	ნეკერჩხალი (Acer negundo)	ხე	31	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
68	თუთა (Morus alba)	ხე	24	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
69	ბოყვი (Acer pseudoplatanus)	ხე	21	ხმობადი	წვერხმელი
70	ალვის ხე (Populus pyramidalis)	კუნძი	89	ზეხმელი	ძველი მოჭრილი

ტერიტორიაზე არსებული ხე–მცენარეების რაოდენობა : 70

ხილკენკროვანი ხე–მცენარეები : 10

გადარგვას დაქვემდებარებული ხე–მცენარეები : 44

ზეხმელი ხე–მცენარეები : 10 (9ძირი კუნძია)

ხმობადი ხე–მცენარეები : 13

კუნძი: 9

კერძოდ:

იხ.ცხრილი№1.

1. მაღალი ღირებულების ფოთლოვანი სახეობის ხე-მცენარე 27 ძირი:

2ძირი(№10, 27) - კაკალი (Juglans regia);

25ძირი(№1,2, 3, 8, 13, 17, 18, 30, 32, 33, 34, 35, 35, 39, 40, 41, 43, 46, 48, 51, 53, 57, 60, 65, 68) - თუთა (Morus alba).

2. იაფი ღირებულების ფოთლოვანი სახეობის ხე-მცენარე 22 ძირი:

9ძირი(№ 7, 37, 38, 45, 52, 58, 59, 61, 62) - ალვის ხე(Populus pyramidalis);

7ძირი(№ 20, 21, 22, 42, 64, 66, 67) - ნეკერჩხალი (Acer negundo);

5ძირი(№11, 12, 14, 15, 16) - თეთრი აკაცია (Robinia pseudoacacia);

1ძირი(№ 69) - ბოყვი (Acer pseudoplatanus).

3. ხილ-კენკრვანი სახეობის ხე- მცენარე 10 ძირი:

12 სმ-ზე ნაკლები დიამეტრის ხე-მცენარე 7 ძირი:

5ძირი(№ 4, 23, 24, 25, 44) - ტყემალი (Prúnus cerasiféra);

1ძირი(№26) - ჭერამი (Armeniaca vulgaris);

1ძირი(№56) - ატამი(Prúnus pérsica).

12 სმ-ზე მეტი დიამეტრის ხე-მცენარე 3 ძირი :

1ძირი(№ 28) - მუშმულა(Eriobotrya japonica);

1ძირი(№ 9) - ჭერამი(Prunus armeniaca);

1ძირი(№29) - ხურმა (Diospyros kaki).

4. იაფი ღირებულების ჯგუფის ბუჩქი 2 ძირი:

2ძირი(№ 54, 55) -თხილი(Corylus avellana).

5. კუნძი 9 ძირი:

4ძირი(№5, 31, 47, 50) - თუთა(Morus alba);

4ძირი(№ 6, 49, 63, 70) - ალვის ხე (Populus pyramidalis);

1ძირი(№ 19) - თეთრი აკაცია (Robinia pseudoacacia).

25 სმ-ზე ნაკლები დიამეტრის ხე-მცენარეების გადარგვა

გადარგვა უნდა მოხდეს არასავეგეტაციო პერიოდში შესაბამისი აგროტექნიკური ღონისძიებების გათვალისწინებით და უსაფრთხოების პირობების სრული დაცვით. ხის გადარგვამდე უნდა მოხდეს კომის ფიქსირება ჯვალოში ან ბადეში.

დასარგავი ორმოს სიდიდე დამოკიდებულია მცენარის გაბარიტებზე და ასაკზე. სარგავი ორმოს სიგრძე და სიგანე 90 სმ-ით, ხოლო სიღრმე 20- 25 სმ-ით მეტი უნდა იყოს ნარგობის კომზე. კომსა და ორმოს შორის სივრცე უნდა შეივსოს ნაყოფიანი ნიადაგის ნაზავით , რომელთა შემადგენლობა განისაზღვრება ინდივიდუალურად. სარგავი ორმოს ფსკერი უნდა გაფხვიერდეს 10-15 სმ. სიღრმეზე, შემდეგ კი მოხდეს 20-25 სმ სისქის ნაყოფიერი ნიადაგის შეტანა. ხე სარგავ ორმოში უნდა მოთავსდეს განსაკუთრებული სიფრთხილით ,რათა დარგვის დროს არ დაიშალოს მიწის კომი. არ დაზიანდეს მცენარის ღერო , ფესვთასისტემა და ვარჯი. ხის დარგვის შემდეგ აუცილებელია ღეროს დაფიქსირება რამოდენიმე მხრიდან , რომელიც განისაზღვრება ინდივიდუალურად ხის სიდიდიდან გამომდინარე. სარგავ ორმოში იყრება მიწის ნაზავი და იტკეპნება, ხოლო დარგული ხის ირგვლივ უნდა გაკეთდეს სარწყავი ჯამი და მოხდეს მისი მულჩირება. ხის დარგვის შემდგომ უნდა მოხდეს მისი მორწყვა სრულ გაჯირჯვებამდე.

ხის მოვლა უზრუნველყოფილი უნდა იყოს გადარგვიდან 3 წლის განმავლობაში. ხის გადარგვის შემდგომ მაისიდან სექტემბრის ჩათვლით უნდა მოხდეს მცენარის მორწყვა არანაკლებ ორჯერ. ზამთრის თბილ და მშრალ პერიოდში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ხის მორწყვა უნდა ჩატარდეს თვეში ერთჯერ. თითოეული მცენარისთვის წყლის ოდენობა დამოკიდებულია გადარგული მცენარის გაბარიტებზე და ასაკზე და უნდა შეადგენდეს არანაკლებ 150 ლიტრს (მორწყვის კალენდარი და ჯერადობა განისაზღვრება ინდივიდუალურად) . მორწყვის საუკეთესო დროა დილით 11-12 საათამდე და საღამოს 8 საათის შემდეგ.

დარგვის შემდეგ სამი წლის განმავლობაში თვეში ერთჯერ უნდა განახლდეს სარწყავი ჯამები, მოხდეს მიწის გაფხვიერება , სარეველა ბალახებისგან გაწმენდა. ფოთლოვანი ხის შემთხვევაში ფესვის ყელიდან ამონაყრის მოცილება. ხის დარგვის პირველი წლიდანვე საჭიროა ჩატარდეს დარგულ მცენარეზე დავადებების და მავნებლების წინააღმდეგ ჩასატარებელი ღონისძიებები სპეციალისტის მიერ მომზადებული ინსტრუქციით.

ხის გადარგვის მეორე წელს, ადრე გაზაფხულზე ,(ვეგეტაციის დაწყებამდე) სარწყავ ჯამებში უნდა მოხდეს სერტიფიცირებული მინერალური და ბიოლოგიური სასუქების შეტანა და მორწყვა. სასუქების შეტანა უნდა განმეორდეს მცენარის დარგვიდან მესამე წელს.(შესატანი სასუქების რაოდენობა განისაზღვრება ინდივიდუალურად) დარგვიდან სამი წლის შემდეგ მცენარეს უნდა მოეხსნას ხის დასაფიქსირებელი საშუალებები.

რაც შეეხება 25სმ-ზე მეტი დიამეტრის ხე-მცენარეებს ითვლება მაღალი ტანის ეგზემპლარებს, რომელთა გადარგვას ჭირდება სპეციფიკური მეთოდოლოგიის შემუშავება

ექსპერტი: გიორგი ტივაძე










































37


38




















49


61


63


62




















69


68


67


66




64


62

ტოპოგრაფიული გეგმა

ქ. თბილისი, შეშელიძის ქ. ხიდის მიმდებარედ
/ქ. თბილისი, გურამიშვილის გამ. №76



პირობითი აღნიშვნები

WGS 84-ის კოორდინატთა სისტემის UTM პროექცია,
სიმაღლური ნიშნულები პირობითია

- ძს — საცხოვრებელი შენობა
- ძა — არასაცხოვრებელი შენობა
- ფარდული
- სათბური — სათბური
- ნანგრევი — ნანგრევული შენობა
- ცისტ. — რეზერვუარი
- ბორდიური
- ა — ასფალტის გზა
- ხრ. — არაასფალტირებული გზა
- რკინიგზა
- წყლის კონტური
- მშრალი ხევი
- მთავარი იზოჰიფსი
- 221 — იზოჰიფსი სიმაღლით
- ბეტონის ღობე
- ლითონის ღობე
- ხის ღობე
- მავთულბადის ღობე
- ნაყარი მიწა
- საყრდენი კედელი
- კონტურული ხაზი
- ხეების მწკრივი
- ცოცხალი ღობე
- მიწის ნაკვეთის საზღვარი
- ტრ. — ტრანსფორმატორი, ელ. ქსესადგური
- ხეები, პალმა, ბუჩქი
- ელექტრო ფერმა, ბოძი
- განათების ელ. ბოძი
- ონკანი,სათვალთვალო ჭა
- ბენზინგასამართი სადგური

შპს „IL Group“
ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. №26

აზომა	ვ. ლომიძე	
დახაზა	ვ. ლომიძე	
დამკვეთი	შპს „ვერტიკალი“ ნათელა ვეკუა	
მ 1:500	08/12/2019	

დოკ. №: 2106-141

თარიღი: 11.06.2021

DEMASO WOOD

მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასება და საექსპერტო დასკვნა

ტერიტორიის მისამართი	*ს/კ*	*მესაკუთრე*	*ფართობი*
თბილისი, გურამიშვილის 76, მიმდებარედ	*01.11.04.026.137*	*შპს "ლიგა 2014"*	*373 მ²*

მერქნიან მცენარეთა რაოდენობა: ***9***

დამკვეთი:

დოკუმენტის შემადგენლობა

შესავალი	*1*
დოკუმენტის მომზადების საკანონმდებლო საფუძველი	*1*
ტერიტორიის აღწერა	*1*
ჩატარებული სამუშაო	*1*
მცენარეთა განაწილება სახეობათა ჯგუფების მიხედვით	*1*
მცენარეთა მდგომარეობა	*1*
გადარგვის შესაძლებლობა	*2*
დასკვნა	*2*

დანართი 1. მერქნიან მცენარეთა შეფასების უწყისი

დანართი 2. ფოტოდოკუმენტაცია

შემსრულებელი:

შპს დემასო ვუდ (405086419)

დირექტორი: ***ემზარ შარია***

demasowood@gmail.com

(+995) 593 18 18 70



შესავალი

დოკუმენტში ასახულია ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზირის N76-ის მიმდებარედ რეგისტრირებულ, ს/კ 01.11.04.026.137 მიწის ნაკვეთზე არსებული მერქნიანი მცენარეების რაოდენობრივ-ხარისხობრივი შეფასების შედეგები.

დოკუმენტს დანართებად ახლავს მცენარეთა შეფასების უწყისი და ფოტოსურათები.

დოკუმენტის მომზადების საკანონმდებლო საფუძველი

წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილების და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს 2000 წლის 1 დეკემბრის №594 კანონის შესაბამისად.

ტერიტორიის აღწერა

მიწის ნაკვეთს გააჩნია არასასოფლო სამეურნეო დანიშნულება და წარმოადგენს კერძო საკუთრებას. მისი ფართობია 373 მ^2.

ტერიტორიას გააჩნია შემდეგი ზონალური კუთვნილება:
- *ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირება:* პერიფერიული ზონა (პზ)
- *ფუნქციური ზონირება:* საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2)
- *შეზღუდვის ზონირება:* არ ხვდება შეზღუდვის ზონაში

ჩატარებული სამუშაო

2021 წლის 10 ივნისს, ვიზუალური დათვალიერების გზით ჩატარდა ს/კ 01.11.04.026.137 მიწის ნაკვეთზე არსებული მერქნიანი მცენარეების შეფასება. კერძოდ, თითოეულ შესაფასებელ მცენარეს მიენიჭა ინდივიდუალური ნომერი, აღებულ იქნა მისი სატაქსაციო მონაცემები, აღიწერა მდგომარეობა, შეფასდა გადარგვის შესაძლებლობა, მოხდა თითოეული მცენარის დასურათება.

სულ, შეფასდა 9 მერქნიანი მცენარე, რომელთა აღწერის საბაზისო მონაცემები ასახულია მცენარეთა შეფასების უწყისში (იხ. დანართი). მათთვის მინიჭებული ნომრები მოცემულია წინამდებარე დოკუმენტთან ერთად მერიაში წარსადგენ ტოპოგეგმაზე, მცენარეთა შეფასების უწყისში და ასევე დაწერილი არის თვითონ მცენარეთა ქერქზე.

წინამდებარე დოკუმენტში, “მცენარის დიამეტრში” იგულისხმება მიწიდან დაახლოებით 10 სმ სიმაღლეზე გაზომილი მცენარის ღეროს დიამეტრი.

მცენარეთა განაწილება სახეობათა ჯგუფების მიხედვით

აღწერილი 9 მერქნიანი მცენარე სახეობათა ჯგუფების მიხედვით ასე ნაწილდება:
- **2 ინდივიდი (1 ხმობადი) – ხილკენკროვანი სახეობები**
  - 2 ტყემალი (Prunus cerasifera) NN 6, 9 (ხმობადი)
- **7 ინდივიდი (5 ხმობადი) – დაბალი ღირებულების ჯგუფის ფოთლოვნები**
  - 5 კანადური ვერხვი (Populus deltoides) NN 1-4, 7 (ხუთივე - ხმობადი)

მცენარეთა მდგომარეობა

შეფასებული 9 მცენარიდან:
- 3 არის ჯანსაღი (NN 5, 6, 8)
- 6 არის ხმობადი (NN 1, 2, 3, 4, 7, 9). მათ შორის:
  - 1 ტყემალი (Prunus cerasifera) N, 9
  - 5 კანადური ვერხვი (NN 1, 2, 3, 4, 7)

ხუთივე კანადურ ვერხვს აღენიშნება ავარიულობის თვალსაჩინო ნიშნები. ყველა მათგანი არის წვერტეხილი ან წვერხმელი, გადაბერებული (საამორტიზაციო ხნოვანებას მიღწეული), ხმობადი ინდივიდი და ყველას აღენიშნება მერქნის სტრუქტურის შლა და მსხვილი ხმელი ტოტების ცვენა.

ტოტების ცვენისა და წაქცევის რისკის გამო, აღნიშნული 5 ვერხვი საფრთხეს წარმოადგენს გარემოსთვის, მათ შორის, ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის. შესაბამისად, მოქალაქეების უსაფრთხოებისთვის, აუცილებელია მათი შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში მოჭრა.

მათი აღწერის მონაცემები იხილეთ დართულ შეფასების უწყისში, ფოტოები - დანართ 2-ში.

გადარგვის შესაძლებლობა

შეფასების შედეგად დადგინდა, რომ, საჭიროების შემთხვევაში, სათანადო მეთოდიკის გამოყენებით, გადარგვას (შემდგომი გახარების მაღალი ალბათობით) შეიძლება დაექვემდებაროს მიწის ნაკვეთზე არსებული 2 არახილკენკროვანი ინდივიდი:

- 25 სმ-ზე ნაკლები დიამეტრის - თუთა N5
- დიდტანიანი (25 სმ-ზე მეტი დიამეტრის) - თუთა N8

დასკვნა

ქვემოთ, პუნქტებად მოცემულია 2021 წლის 10 ივნისს, ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზირის N76-ის მიმდებარედ, შპს “ლიგა 2014”-ის საკუთრებაში არსებულ, ს/კ 01.11.04.026.137 მიწის ნაკვეთზე, 9 მერქნიანი მცენარის ხარისხობრივი შეფასების შემაჯამებელი მონაცემები.

1. რაოდენობები სახეობათა ჯგუფებისა და მცენარეთა მდგომარეობის მიხედვით. შეფასებული 9 მერქნიანი მცენარიდან 3 არის ჯანსაღი, 6 - ხმობადი. მათ შორის:

- 2 ხილკენკროვანი (1 ჯანსაღი, 1 ხმობადი)
- 7 დაბალი ღირებულების ფოთლოვანი (2 ჯანსაღი, 5 ხმობადი)

2. არაჯანსაღ მცენარეთა სახეობები, რაოდენობები, ნომრები. სულ გამოვლინდა 6 არაჯანსაღი (ხმობადი) მცენარე, კერძოდ:

- 1 ტყემალი (Prunus cerasifera) N 9
- 5 კანადური ვერხვი (Populus deltoides) NN 1, 2, 3, 4, 7

3. ავარიული ხეები. 5 ძირი კანადური ვერხვი (Populus deltoides) წარმოადგენს ავარიულ ინდივიდებს, რომლებიც წაქცევის რისკისა და მსხვილი ტოტების ცვენის გამო, საფრთხეს წარმოადგენენ ადამიანთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის. აუცილებელია აღნიშნული ხეების მოჭრა შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში.

4. გადარგვადი მცენარეები. საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი მეთოდიკის გამოყენებით, გახარების მაღალი ალბათობის პირობით, გადარგვას შეიძლება დაექვემდებაროს 2 არახილკენკროვანი მცენარე - N5 და N8. მათგან:

- **25 სმ-ზე ნაკლები დიამეტრის 1 ინდივიდი** - თუთა (Morus sp.) N5
- **25 სმ-ზე მეტი დიამეტრის 1 ინდივიდი** - თუთა (Morus sp.) N8

მეტი დეტალისთვის იხილეთ:

- წინამდებარე დოკუმენტის 1-2 გვერდები;
- დანართი 1. მერქნიან მცენარეთა შეფასების უწყისი;
- დანართი 2. ფოტოდოკუმენტაცია;
- დამკვეთის მიერ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიერიაში წინამდებარე დასკვნასთან ერთად წარდგენილი ტოპო-გეგმა.

ექსპერტი:  ლევან გოშაძე (01008013049)

№2106-141 საექსპერტო დასკვნის

დანართი 1. მერქნიან მცენარეთა შეფასების უწყისი - ნაკვ. 01.11.04.026.137

მისამართი:	თბილისი
საკადასტრო კოდი:	01.11.04.026.137
ფართობი:	373 მ^2
მესაკუთრე:	შპს “ლიგა 2014” (ID № 401991387)
შეფასების მეთოდი:	ვიზუალური
შეფასების თარიღი:	10.06.2021
შემსრულებელი:	ლ. გოშაძე, ე. შარია

№	მცენარის დასახელება	დიამეტრი (სმ) მიწიდან:		სიმაღლე (მ)	აღწერა
		10 სმ	1.3 მ		
1	ვერხვი (Populus deltoides)	45	38	12.5	ხმობადი/ წვერტეხილი, ტოტების ხმობა, ცვენა/ აბედა სოკო/ ავარიული
2	ვერხვი (Populus deltoides)	54	49	12.5	ხმობადი/ წვერტეხილი, ტოტების ხმობა, ცვენა/ ფუღუროიანი/ ავარიული
3	ვერხვი (Populus deltoides)	43	37	12.5	ხმობადი/ წვერხმელი, ტოტების ხმობა, ცვენა/ ავარიული
4	ვერხვი (Populus deltoides)	47	40	12.5	ხმობადი/ წვერტეხელი, ტოტების ხმობა, ცვენა/ ლპობა ფესვის ყელთან/ ავარიული
5	თუთა (Morus sp.)	20.7	12.7	6.5	საღი/ ორკაპი/ გადარგვადი
6	ტყემალი (Prunus cerasifera)	25.5	11.1	4.5	საღი/ ორკაპი/ ხილკენკროვანი
7	ვერხვი (Populus deltoides)	51	38	12.5	ხმობადი/ წვერტეხილი, ტოტების ხმობა, ცვენა/ ლპობა ფესვის ყელთან/ ავარიული
8	თუთა (Morus sp.)	43	32	12.5	საღი/ გადარგვადი
9	ტყემალი (Prunus cerasifera)	9.6	8.0	12.5	ხმობადი/ ორკაპი/ ხილკენკროვანი

ლევან გოშაძე  *ექსპერტი;* ემზარ შარია  *დირექტორი, შპს დემასო ვუდ*

№2106-141 საექსპერტო დასკვნის

დანართი 2. ფოტოდოკუმენტაცია - ნაკვ. 01.11.04.026.137




















4
5
6
7
8
9

NN 1, 2, 3, 4, 7 ვერხვებიდან ჩამოცვენილი ტოტები და სიახლოვეს არსებული მოსახლეობა








წერილის ნომერი: **18-01210911922**
თარიღი: **01/04/2021**
პინი: **4431**

ადრესატი: ლაშა შაყულაშვილი
პირადი ნომერი: 01008054257
მისამართი: ქ.თბილისი, ბაგები, უჩანეიშვილის მეოთხე გასასვლელი სახლი N5

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ზოგადი ინფორმაცია	
განცხადების ნომერი:	N 19/01210884534-18; 19/0121080151-18
განცხადების თარიღი:	29 მარტი, 2021; 21 მარტი, 2021
განმცხადებელი:	ლაშა შაყულაშვილი
მისამართი	ქ. თბილისი, გამზირი გურამიშვილი #76, მიმდებარედ
საკადასტრო კოდ(ებ)ი:	01.11.04.026.136
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტი
ნომენკლატურა/მოთხოვნის შინაარსი:	გზის მოწყობა
მწვანე ნარგავ(ებ)ის სახეობა, რაოდენობა	5
წარმოდგენილი დოკუმენტაცია	მწვანე ნარგავ(ებ)ის მდგომარეობის ამსახველი ფოტომასალა საექსპერტო დასკვნა დიდტანოვანი ნარგავ(ებ)ის გადარგვის ტექნიკური დოკუმენტაცია გადამრგველი ფიზიკური/იურიდიული პირის თანხმობა მწვანე ნარგავების გადარგვის შესახებ სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს გადაწყვეტილება ტოპო.გეგმა
დასკვნა:	
დადებითი	

სამართლებრივი დასაბუთება

სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტი; საქართველოს კანონის ,,ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ მე-6 მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის დადგენილებით №10-11 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს

დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილებით დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის“ 21-ე, 21^1-ე, 21^2-ე მუხლები.

სამსახურის პოზიცია

ვინაიდან მცენარეების გადარგვას ენიჭება უპირატესობა მოჭრასთან მიმართებით და მწვანე ნარგავების შენარჩუნების გზით დაცული იქნება ტერიტორიაზე არსებული ეკოლოგიური წონასწორობა, აგრეთვე, მცენარეების გადარგვის და მათი შემდგომი გახარების შესაძლებლობა ექსპერტის მიერ წერილობით დადასტურებულია, **შესაბამისად, სამსახური თანახმაა,** დაგეგმილი სამუშაოების გახორციელების მიზნით გასცეს საპროექტო არეალში მდგომი ***5 ძირი მწვანე ნარგავის (თუთა #1-22,3სმ; #3-38სმ; #4-37სმ; #5-32სმ; გლედიჩია #2-21,3სმ)*** მიმდებარე ტერიტორიაზე გადარგვის ნებართვა.

ინფორმაციული

მწვანე ნარგავების გადარგვა უნდა განხორციელდეს ნებართვის მიღებიდან პირველსავე არასავეგეტაციო პერიოდში, აგროტექნიკური ღონისძიებების დაცვით და ჩვენი სამსახურის სპეციალისტის ზედამხედველობით.

გაცნობებთ, რომ ნებართვის მიმღები ვალდებულია გადარგვის დაწყების თარიღი და დროის ინტერვალი წერილობით აცნობოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს ზედამხედველობის გაწევის მიზნით (გადარგვის დაწყებამდე - არანაკლებ 2 სამუშაო დღით ადრე). წინააღმდეგ შემთხვევაში მწვანე ნარგავების გადარგვა ჩაითვლება უკანონოდ.

მწვანე ნარგავების გადარგვის ნებართვა გაიცემა 1 წლის ვადით, ხოლო გადარგული მწვანე ნარგავების მოვლის სამუშაოების ხანგრძლივობა განისაზღვრება 3 წლის ვადით.

გადარგვის განხორციელების შემდეგ, სამ თვეში ერთხელ, წერილობით, უნდა წარმოადგინოთ გადარგული მცენარეების მდგომარეობის შესახებ ანგარიში და შესაბამისი ფოტომასალა.

აქვე გაცნობებთ, გადარგვიდან 3 წლის განმავლობაში მწვანე ნარგავების გახმობის შემთხვევაში დაგეკისრებათ განმეორებითი საკომპენსაციო რგვის ვალდებულება.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

გაცემის თარიღი

12.04.2021

განხილვის საგანი :	სამუშაოების წარმოებაზე აქტის გამოცემა
დაინტერესებული პირი :	აკაკი შუბითიძე 38001004523
წარმოების საფუძველი :	განცხადება №: QN1804398
გასაჩივრების წესი :	გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად
აქტის მოქმედების ვადა :	აქტი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე

სააგენტოს გადაწყვეტილება № QN1804398

1. დაკმაყოფილდეს განმცხადებლის წერილობითი თხოვნა და მიეცეს თანხმობა განახორციელოს ქ. თბილისში, გამზირი გურამიშვილი #76, მიმდებარედ (#01.11.04.026.136 საკადასტრო ერთეული), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობის, გზის და ტროტუარის მოწყობის მიზნით საჭირო სამუშაოები, №1 დანართში მონიშნულ სავარაუდო მონაკვეთზე, №2 დანართით განსაზღვრული საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის სქემის შესაბამისად, უსაფრთხოების და ტექნიკური ნორმების სრული დაცვით, განთავსებული ხაზობრივი ნაგებობების დაუზიანებლად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის ნებართვის შესაბამისად.
2. აქტი ძალაშია მისი გაცნობიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადით.

(ელექტრონული ფორმით გაცემული აქტის გაცნობისთვის დაინტერესებულ მხარეს განესაზღვრება ვადა - სააგენტოს მიერ აქტის გამოცემიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ოდენობით. თუ აღნიშნულ ვადაში დაინტერესებული პირი აქტს არ გაეცნობა აქტი ითვლება ძალადაკარგულად.)

საფუძველი:

“ცალკეული ხაზობრივი ნაგებობის განთავსების, სამუშაოების წარმოების ან/და მათი შემდგომი რეგისტრაციის თაობაზე თანხმობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

თბილისი შარტავას ქუჩა #7
ტელ: (+995 32) 2 72 22 22 Email: infoauction@Tbilisi.gov.ge
www.auction.tbilisi.gov.ge
www.iauction.ge